

კოდური სიტყვისა და პინ კოდის გამოყენების წესები

- **პერსონალური კოდი** - აბონენტის მიერ არჩეული სიტყვა ან/და სიმბოლოთა (ასოებისა და ციფრების) ერთობლიობა, რომლის გამოყენებით ხდება სს „სილქნეტის“ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების დისტანციურად მართვა.
- კოდური სიტყვის არჩევა და ცვლილება შესაძლებელია ცხელი ხაზის (2 100100) და სერვის ცენტრის საშუალებით, აბონენტის იდენტიფიცირების გზით (კოდური სიტყვის არჩევა საინფორმაციო ცენტრში შესაძლებელია მხოლოდ პირველადი რეგისტრაციის დროს.)
- **პერსონალური კოდის სტრუქტურა** - პერსონალური კოდი შედგება ლათინური ასოების ან/და ციფრებისგან და შეიძლება მოიცავდეს არაუმეტეს 16 სიმბოლოს. ქართული ასოები და სასვენი ნიშნების გამოყენება არ არის შესაძლებელი.
- **პერსონალური კოდის** საშუალებით **ფიზიკურმა პირმა** აბონენტმა შესაძლოა განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
 1. სააბონენტო პაკეტის ცვლილება
 2. არსებულ ანგარიშზე ახალი ძირითადი მომსახურების დამატება
 3. ძირითადი მომსახურების გაუქმება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაუქმება, ან შეთავაზების დაშლისას გასაუქმებელი მომსახურება) არ საჭიროებს აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების დაბრუნებას, ან ხდება შეთავაზების დაშლა მასში შემავალი მომსახურებების გაუქმების გარეშე)
 4. ძირითადი მომსახურების დროებით შეჩერება / დროებით შეჩერების მოხსნა
 5. მომსახურების მოწყობის მისამართის ცვლილება
 6. მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიის ცვლილება
 7. დამატებითი მომსახურებების გააქტიურება / გაუქმება
 8. პინ კოდის (ვიდეოთეკის, 18+) მიღება სატელეფონო ცხელი ხაზის (2100 100) საშუალებით.
 9. აბონენტის საკონტაქტო ნომრის დაფიქსირება/ცვლილება
 10. მოქმედი პერსონალური კოდის ცვლილება
 11. სპეციალურ შეთავაზებაში ჩართვა / შეთავაზების დაშლა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების დაშლისას გასაუქმებელი მომსახურება არ საჭიროებს აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების დაბრუნებას, ან ხდება შეთავაზების დაშლა მასში შემავალი მომსახურებების გაუქმების გარეშე)
 12. ინფორმაციის მიღება: სააბონენტო ანგარიშზე არსებული დარიცხვებისა და ბალანსის შესახებ (მათ შორის ქვიტორის და დეტალური ამონაწერის გაგზავნა აბონენტის ელექტრონულ ფოსტაზე), სააბონენტო ანგარიშის ნომრის, ტელეფონის ნომრის, ანგარიშზე გააქტიურებული მომსახურებების და სააბონენტო პაკეტების, მომსახურების მოწყობის მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შესახებ. ასევე, აბონენტის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებული მომსახურების სახეებზე, პაკეტებზე, საკონტაქტო ნომერზე და ინსტალაციის პირობებზე (მომსახურების მოწყობის მისამართი და ტარიფები).

შენიშვნა: პერსონალური კოდის საფუძველზე გასაწევი მომსახურებები შესაძლოა შეიცვალოს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, რაც დამატებით აბონენტს შეუძლია იხილოს კომპანიის ვებ-გვერდზე: www.silknet.com

- **პინ კოდი** - სილქ ტვ მომსახურების მართვის მიზნით, გამოყენებადი ციფრების ერთობლიობა, რომელსაც აბონენტი მიიღებს: პერსონალური კოდის დასახელების საფუძველზე, სატელეფონო ცელ ხაზზე, ხოლო სატელევიზიო პულტის მენიუდან მომსახურების გააქტიურებისას - მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმს) სახით, მის მიერ დაფიქსირებულ საკონტაქტო მობილურ ნომერზე.
- პინ კოდის მიღების შემდგომ, სატელევიზიო პულტით სასურველი ფუნქციის არჩევის შედეგად ეკრანზე გამოტანილ ფანჯარაში ხდება პინ კოდის შეყვანა და დადასტურება OK ღილაკით. აღნიშნული მომენტიდან არჩეული მომსახურება ითვლება მიღებულად.